საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/90 “ 12 ” ოქტომბერი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ი. ლაბაძისათვის მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ია ლაბაძეს უფლებამოსილების ვადა ეწურება 2022 წლის 16 ოქტომბერს. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ 2022 წლის 11 ოქტომბერს №1039 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, რომ საბჭომ იმსჯელოს მოსამართლე ია ლაბაძისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლე ი. ლაბაძის წარმოებაშია 120-ზე მეტი სამოქალაქო საქმე, რომლებიც მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უნდა გადაეცეს აღნიშნული კოლეგიის სხვა მოსამართლეებს, რაც მნიშვნელოვნად შეაფერხებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ია ლაბაძეს 2022 წლის 17 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს მოსამართლის უფლებამოსილების ვადა მისი მონაწილეობით დაწყებულ საქმეებზე საბოლოო გადაწყვეტილებების გამოტანამდე, მაგრამ არაუმეტეს 2023 წლის 1 თებერვლისა.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე